თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის

ვლადიმერ ბოჟაძის **ა ნ გ ა რ ი შ ი**

2024 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -

მე-7 მოწვევის საკრებულოში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **19** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **43** საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და გეგმაზომიერად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. დედაქალაქის ბიუჯეტი 2023 წელთან შედარებით გაიზარდა და 2 058 335,6 ლარია. ცხადია, წელსაც პრიორიტეტულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ჯანდაცვა და სოციალური პროექტები, ინფრასტრუქტურული და გარემოს დაცვითი ღონისძიებები.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა, მიღებულ იქნა 675 განკარგულება და 113 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

www.sakrebulo.gov.ge.

- ## სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-კომისიის წევრი

თბილისის 2024 წლის ბიუჯეტით კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამებისთვის განსაზღვრულია 346 728,9 ათასი ლარი, სპორტის განვითარებისთვის აქედან 35,668.1 ათასი ლარი, ხოლო ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის 4,829.0 ათასი ლარი.

მხარდაჭერილია სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტი, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 000-ზე მეტმა ახალგაზრდამ, ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ფარგლებში დაფინანსდა 16 ახალგაზრდული ორგანიზაცია, სპორტული ღონისძიებების ფარგლებში კი დაფინანსდა 76 სპორტული ფედერაცია და განხორციელდა 191 პროექტი, რომელშიც 70 592 მონაწილე ჩაერთო.

საანგარიშო წლის პერიოდში სულ ჩატარდა კომისიის 16 სხდომა, განვიხილეთ 20 საკითხი, მათ შორის 3 განკარგულების და 11 დადგენილების პროექტი, მოვისმინეთ ანგარიშები და ჩავატარეთ კომისიის გასვლითი სხდომები, მომზადდა 14 სამართლებრივი დასკვნა და 16 კომისიის სხდომის ოქმი. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებისთვის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით კომისიის მიერ მიღებულია არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანი საკითხები

- საანგარიშო წლის პერიოდში მოვინახულეთ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული 8 სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ი, 17 სტრუქტურული ერთეული მათ შორის ლილოს დასახლებაში არჩილ მეფის ქუჩაზე მდებარე სპორტული ცენტრის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, (ა)იპ ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ. #7/1-ში არსებული უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, განხორციელდება 100 000 ლარის ინვესტიცია. გურამიშვილის გამზირზე #15-ში, 600.9კვ.მ ფართი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით. ფედერაცია უზრუნველყოფს 30 წლის ვადით

სპორტული ობიექტისთვის პროფილის შენარჩუნებასა და ობიექტების განვითარებას.

- კომისიის ინიციატივები-ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჩატარა ფორუმი „ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“. ასევე წარმატებით გრძელდება პროექტი „სასკოლო ლიგა“ გაზრდილი მასშტაბით, სადაც მონაწილეობა ჯამში 14 000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო.

კამპანიის „წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში“ ფარგლებში ვუმასპინძლეთ რიგ ღონისძიებებს სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების ჩართულობით, შევხვდით პარასპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და პარაოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებს, რაგბის 7-ქალა ეროვნული ნაკრების წევრებს და ა.შ.

- ## გარემოს დაცვის კომისია-კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა და განიხილა 85 საკითხი, რომელთაგანაც დავესწარი 13 სხდომას და განვიხილე 80 საკითხი.

განხილულ საკითხებს შორისაა:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 57 პროექტი).

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 3 პროექტი).

„მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 1 პროექტი).

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი).

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისისნარჩენების

გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები (სულ: 2 პროექტი).

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი).

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (სულ: 1 პროექტი).